ტფილისის
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 209

ოთხშაბათი, 26 სეკტემბერი, 1901 წ.

გ ა ზ ე თ ი ს   ღ ი რ ს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 209

ოთხშაბათი, 26 სეკტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 28 სექტემბერს.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ბუჰჰალტერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—6.—9)

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლები უმდაბლესადა სთხოვენ 25 სექტემბერს, დილის 9 საათზე, თავად-აზნაურნი სიონის საკრებულო ტაძარში მობრძანდნენ წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად.

26 სექტემბერს, დილის 8 საათზე, თავად-აზნაურნი ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების სადგომში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლში) შეიკრიბებიან, აქედგან მთავარმართებლის სასახლეში წავლენ და მის იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს წარუდგებიან.

ტანისამოსი სადღესასწაულო უნდა ეცვათ: ვინც სამსახურში არაა, იმათ კიდევ—ფრაკი, ან ეროვნული ტანისამოსი.

თავად-აზნაურთ თავიანთს წინამძღოლებს უნდა გამოართვან ბილეთები, რომ საიუბილეო დღესასწაულებში მათს ეტლებს ყველგან თავისუფლად შეეძლოთ სიარული.

(1—6.—1)

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 23 სექტემბერს ბოროტ-მოქმედთ გასტეხეს ქალაქის კასსა და **მოიპარეს** ნაღდი ფული და შემდეგი %% ქაღალდები: I. ოთხი მ. წმობა 4%% სახელმწიფო რენტისა 1000 მანეთიან ღირებულობისა შემდეგის №№ 1) სერ. 36 № 2175, 2) სერ. 81 № 2603, 3) სერ. 185 № 0212 და 4) სერ. 209 № 4183 და ერთი მოწმობა იმავე რენტისა 100 მანეთიან ღირებულობისა სერ. 187 № 0881. ხუთივე ქაღალდის ვადა კუპონებითურთ 1901 წლის 1 დეკემბერი იყო. და II. არ განაღდებული ობლიგაციები ქალაქ ტფილისის მესამე სესხისა თვითო 1000 მანეთიან ღირებულობისა, რომლის კუპონების ვადაც 1901 წლის 1 დეკემბერი იყო, შემდეგის №№

155-დგან 159-მდე
164 „ 346 „
448 „ 457 „
459 „ 581 „
583 „ 750 „ სულ 592 ფურც.

ამასთან ზედ ნომრები რიგით ჯერ არ იყო დასმული და ბუჰლალტერს ხელი არა ჰქონდა მოწერილი.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ჯაგიპაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

ფელეტონი

—

კერძო ინიციატივა სახალხო სწავლა-განათლების საქმეში გერმანელთა შორის. *)

II. „სახალხო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“.

როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, ეს „საზოგადოება“ 1871 წელს დაარსდა. ამ დროს გერმანიაში სახალხო სწავლა-განათლების ფერაინების რიცხვი კარგა დიდი იყო; მხოლოდ მათ აკლდათ ერთმანერთის კავშირი და ერთობა; არ ჰქონდათ ერთნაირი გეგმა და ურთიერთშორის შეთანახმებული მოქმედება. „საზოგადოების“ დამაარსებელთ სწადდათ ერთის მხრით ამ ნაკლის მოსპობა და მეორეს მხრით ახალ ფერაინების დაარსება და სახალხო სწავლა-განათლების საქმის უფრო ენერგიულად წაყვანა.

ამ „საზოგადოების“ დაარსებაში ორს ადამიანს მიუძღვის პირველობა და მთავარი ღვაწლი. ესენი არიან ფაბრიკანტი ფრიც კალლე და დოქტორი ფრანც ლეიბინგი. თვითონ კალლე ასე მოგვითხრობს „საზოგადოების“ დაარსების ამბავს:

„სედანის ბრძოლა გათავებული იყო,—ნაპოლეონმა თავისი ხმალი მეფე ვილჰელმს გარდასცა. ეჭვი აღარ იყო, ომი მალე უნდა გათავებულიყო. და მეც,—ცალკე ჩემის საკუთარის საქმისათვის და ცალკე, უკანასკნელ ხანებში, დაჭრილთა მოვლისაგან დაღლილმა,—გარდავსწყვიტე რამდენიმე კვირით შვეიცარიაში დასასვენებლად წავსულიყავ.

„შვეიცარიაში თან წავიღე ბოკლის წიგნი: „ისტორია ცივილიზაციისა“. ერთმა ხანამ, რომელიც ამ შესანიშნავს წიგნში ამოვიკითხე, ძალიან დამაფიქრა. ბოკლი ამბობს: „გერმანელი ფილოსოფოსებს ისეთი ცოდნა და აზრთა ამაღლება აქვთ, რომ განათლებულს კაცობრიობაში მათ პირველი ადგილი ეკუთვნის, მაგრამ გერმანელი ხალხი-კი უფრო ცრუ-მორწმუნეა და, მისი სწავლა-განათლებისთვის მთავრობის ზრუნვის მიუხედავად, უფრო უვიცი და თვითმართველობისთვის გამოუსადეგი, ვინემ ფრანგები და ინგლისელები“. ეს მსჯავრი რომ სამართლიანი არ არის, ამას გვიმტკიცებს 1867 და 1870—71 წლების ომები, რომლებშიაც გამარჯვება უმთავრესად ჩვენის დაბალ ჯარის-კაცების ზნეობრივს და გონებრივს ძალასა და სიმტკიცეს უნდა მიეწეროს. მაგრამ ბოკლის მსჯავრში ცოტა სიმართლე მაინც მოიპოვებოდა...

„ხალხის განათლებისთვის ზრუნვის საჭიროება ნათლად თვალწინ წარმომიდგა. საჭირო იყო ერთის მხრით, დროებით მოთხოვნილების და გვარად, სკოლებში სწავლების გაუმჯობესობა და მეორეს მხრით—მოზრდილ ახალგაზდობის და სრულ წლოვანთა განვითარებისა და განათლების განგრძობა.

„პრველი საქმე უმთავრესად მთავრობის მოვალეობას შეადგენდა; მეორე-კი კერძო პირთა ნება-ყოფლობითის მოქმედების საგნად უნდა გამხდარიყო.

„მართალია, გერმანიის ქალაქებში იყვნენ მაშინ ფერაინები, რომლებსაც სახალხო სწავლა-განათლების გავრცელება ჰქონდათ საგნად, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთ დაწესებულებათა რიცხვი არ იყო მაინცა და მაინც დიდი და მეორეც, მათ აკლდათ ერთმანერთის კავშირი და დამოკიდებულება. მე ვუთხარი ჩემს თავს: ჩვენ უნდა დავაარსოთ ერთი ისეთი სამშობლოს მოყვარეთაგან შემდგარი ფერაინი, რომელსაც საგნად ჰქონდეს ყველა ადგილებში სახალხო განათლების გამავრცელებელ ფერაინების დაარსება და მათ შორის კავშირის დამყარება მეთქი“.

კალლემ ეს აზრი გაუზიარა დოქტორ ლეიბინგს, რომელიც დიდის სიხარულით და აღტაცებით მიეგება მას, მით უფრო, რომ თითონ ლეიბინგიც ჰფიქრობდა ასეთის ფერაინის დაარსებას. კალლე განაგრძობს:

„იმ აღტაცებამ, რომელიც ლეიბინგმა ამ აზრის განხორციელებისათვის გამოიჩინა, იმედი მომცა, რომ ჩვენს მიზანს მივაღწევდით. შევუდექით პროკლმაციის და ორგანიზაციის გეგმის შედგენას. ორივენი, მეც და ლეიბინგიც, იმ აზრისა ვიყავით, რომ ჩვენი ფერაინისთვის საუკეთესო თავმჯდომარე დ-რი შულცე-დელიჩი იქნებოდა“.

შულცე-დელიჩიც, რომელსაც უკვდავი სახელი აქვს მოპოვებული თავის მოღვაწეობით სასოფლო ბანკების გავრცელების საქმეში, მიემხრო მათ და ფერაინის თავმჯდომარეობაც იკისრა. 1871 წლის აპრილში მათ გამოსცეს მრავალ ათას ეგზემპლიარად მოწოდების მანიფესტი ფერაინის დასაარსებლად და დაარიგეს ხალხში. აი, ზოგიერთი ადგილები ამ მანიფესტისა:

„ახალი ეპოქა გვეწყება ახლა, როცა ჩვენი სამშობლო გაერთიანდა. ამ მოვლენას ერთად ერთი მიზეზი არა აქვს, მაგრამ მაინც ეს ეჭვს გარეშეა და ამას ყველა ერის შეგნებული კაცი აღიარებს, რომ გერმანელის ჯარის საკვირველი მოქმედება უმთავრესად მისის ცოდნისა და განათლების შედეგი არის, და მისი ზნეობრივი ძალაც აქედან წარმოდგება. ეს დიადი შენაძენი, ამ დღეებში რომ გვერგო, სრულიად დაგვეღუპება, თუ გავამპარტავნდით და უზრუნველს კმაყოფილებას მივეცით თავი.

„ახლად დამყარებულმა მშვიდობიანობამ უნდა დაგვაფიქროს და გაგვამხნეოს კვლავ კულტურულის შრომის დასაწყებად, რომელიც ომისა გამო ჩვენში შესწყდა.

„აქ უპირველეს ყოვლისა ხალხის საზოგადო განათლებისთვის შრომაა საჭირო. გამოვუტყდეთ ჩვენს თავს: რაც უნდა დიდი იყოს განათლებულთა რიცხვი ჩვენში, იგი თავისთავად მაინც ძალიან მცირეა. დიდი უმეტესობა ჩვენის ხალხისა ჯერ კიდევ უვიცია და გონებრივად ზარმაცი...

„სკოლაში ყოფნის დრო ერთობ ძალიან მოკლეა, ასე რომ სკოლას მხოლოდ ელემენტალურის სწავლის მოცემა შეუძლიან. თუ ამ ელემენტალურს საფუძველზედ არა ავაშენეთ-რა, სრულიად უნაყოფო და გამოუსადეგი გახდება. არა კმარა, ხალხმა წერა-კითხვა იცოდეს; საჭიროა, რომ ხალხი კითხულობდეს და კარგ წიგნებს კითხულობდეს. ამიტომ წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი არ გვაძლევს უტყუარს და საკმარისს საზომს ხალხში გავრცელებულ განათლებისას.

„ელემენტალურ სასკოლო სწავლებას საგნად აქვს მისცეს საფუძველი თავისუფალ, **მოაზრე** ადამიანთა აღზრდას. **სკოლა ამ მიზანს** უნდა შეესაბამებოდეს. **მაგრამ ეს** ასე არ არის. ყველა თავისუფლად მოაზრე გერმანიაში დარწმუნებულ

---

*) იხ. „ივერია“ № 201

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეზთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

ზ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს**: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას ჲ საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—5)

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა ქალაქის გამგეობას მთავარ-მართებლის განკარგულება გადასცა იმის შესახებ, თუ ქალაქი საარჩევანოდ როგორ უნდა იქმნეს სამ ნაწილად გაყოფილი, და წინადადება მისცა საარჩევანო სიების შედგენას დაუყოვნებლივ შეუდგნენ.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ორმოცდა-ათი წლიწადი არსებობისა კვირას, 30 სექტემბერს, უსრულდება. ამ დღისათვის საზოგადოების სადგომში დანიშნულია საიუბილეო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, ამ წინაზედ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთა მიერ მომავალ კრებისათვის შემუშავებულს პროგრამას განიხილვენ.

⁂ საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად დაბალ სახალხო და საქალაქო სასწავლებლების პროგრამის განსახილველად ემზადებიან. როდესაც ყველა საჭირო ცნობები და მასალა ამ საგნის შესახებ შეკრებული იქმნება, განსახილველად საგანგებო კომისსიას გადასცემენ, რომელიც პირველ დასაწყის სწავლის საგანგებოდ მცოდნე პედაგოგებისაგან იქმნება შემდგარი.

⁂ საიუბილეო დღეებისა გამო ტფილისის სასწავლებლების მოწაფენი სამის დღით სწავლისაგან განთავისუფლებულნი არიან.

საიუბილეო დღენი.

24 სექტემბერი.

უავგუსტოესნი სტუმარნი, საბერძნეთის დედოფალი, დიდნი მთავარნი და მთავრინანი, ბორჯომიდგან ტფილისში ჩამობრძანდნენ 24 სექტემბერს, ნაშუადღევის ხუთ საათზედ. ამ დროსთვის ტფილისი უკვე მოირთო. უმთავრესი ქუჩები, მიხეილისა და გოლოვინის პროსპექტი, დროშებით შემოსეს. აქაიქ ამ ქუჩებში ყვავილთა ხვეულებითა და დროშებით მორთული ბოძები ამართეს. ამას გარდა ქალაქმა გამართა ორი კამარა, ერთი რკინის გზის სადგურთან, მეორე გოლოვინის პროსპექტზედ. გოლოვინის პროსპექტზედ გამართული კამარა წარმოადგენს ორ ციხეს—რუსულსა, ახალსა და კოხტას, და ქართულს ძველსა. ხალხმა ქუჩებში თავისს მოყრა ნაშუადღევის ორის საათიდგან დაიწყო. ამავე დროს გამწკრივებულ იქმნენ ქუჩებში სხვა-და-სხვა სკოლის მოსწავლენი.

ოთხის საათისთვის უკვე შეიკრიბნენ რკინის გზის სადგურზედ ტფილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურთა გუბერნიისა და მაზრის წინამძღოლნი, თავად-აზნაურნი, მანდილოსანნი, მთავარ-მართებლის თანაშემწე, გენერლობა, გუბერნატორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანნი და სხვანი. აქავე იდგნენ საპატიო ყარაულნი თავად-აზნაურობისაგან—ქართლ-კახელნი, იმერელნი, გურულნი, მეგრელნი, მშვენიერ საერო ტანისამოსში გამოწყობილნი.

ხუთის ნახევარზედ მოვიდა სადგურზედ კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი, ხოლო სწორედ ხუთ საათზედ სადგურს მოადგა მატარებელი, რომლითაც ჩამობრძანდნენ მისი უდიდებულესობა საბერძნეთის დედოფალი ოლგა კონსტანტინეს ასული, მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდნი მთავარნი და მთავრინანი მიხეილ ნიკოლოზის ძე, გიორგი მიხეილის ძე, მეუღლე მისი მარიამ გიორგის ასული, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე და დიდის მთავრის გიორგის ასული ნინა, საბერძნეთის მეფის ძენი ანდრია და ქრისტეფორე, უმაღლესის კარის კაცნი, სეფე-ქალნი და ამალის სხვა წევრნი.

პირველად მათ უდიდებულესობას ჲ უმაღლესობას მიესალმა კავკასიის მთავარ-მართებელი, შემდეგ ქალაქის მხრივ ქ. მოურავის მოადგილემ მისაგებებელ სიტყვით მიჰმართა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს და მიართვა პურ-მარილი.

შემდეგ ხელმწიფე იმპერატორის უავგუსტოესს წარმომადგენელს, მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავადმა დ. ზ. მელიქიშვილმა შემდეგი სიტყვით მიჰმართა:

„დღეს, საქართველოს სამეფოს თავისის ნებით რუსეთის იმპერიასთან შეერთების ასის წლის შესრულების დღესასწაულობისას, განუსაზღვრელისა და ღრმა მღელვარებით მოგიძღვნით სალამს თავად-აზნაურობის სახელით, თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, დიდო წარმომადგენელო ხელმწიფე იმპერატორისავ. ასის წლის წინად, მტრებისაგან შევიწროებულმა საქართველოს მეფემ და ჩვენმა მამაპაპამ, მათთან ერთად საქართველოს მკვიდრთ, თავისი და სამშობლოს ბედი რუსეთის თვითმპყრობელ მფლობელთა უძლეველს მარჯვენას მიანდვეს. ასის წლის წინად, იმპერატორის პავლეს პეტრეს ძის უუმოწყალეს მანიფესტისა შემდეგ, გაისმა საღმრთო სიტყვები კეთილმორწმუნე ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე კურთხეულისა, რომელმაც კისრად იდვა მმართვა საქართველოს სამეფოისა არა ძლიერებისა მოსახვეჭად და არა ანგარებისათვის, არამედ ადამიანობისა და ტანჯულთა მწუხარების საშველავათოდ. საქართველოს ერის ხმამ მოალბო გული ღვთისგან ცხებულის გვირგვინოსანისა, რომ ერთმორწმუნე ხალხი, რომელმაც თვისი ბედი დიდსულოვან რუსეთის მფარველობას მიანდო, არ გაეწირა. თვითმპყრობელისა ნების მორჩილმა რუსეთის დიდმა ერმა და მასთან ერთად სახელოვანმა თავად-აზნაურობამ აღურიცხველი და განუსაზღვრელი დიდსულოვნობა, თავ-განწირულობა და გმირობა გამოიჩინა და ამით რუსეთის გარეშე სახელი და განცვიფრება, ხოლო შინ, სამშობლოში სხვა-და-სხვა ერთა შორის საერთო სიყვარული მოიპოვა. ქართველ თავად-აზნაურთა და საქართველოს მკვიდრთა წმიდა ძმური სიყვარული მთელის საუკუნის განმავლობაში მუდამ უცვლელი იყო. შეუერთდა-რა თავისის ნებით და გაუღო კარი დარიელის ვიწრო ხეობისა, რომ რუსეთის ერს ამ რიგად აზიის შუა-გულ შესვლა ძლევამოსილად შესძლებოდა, ღვთისმშობლის წმიდა ხვედრის ძველის ივერიის უმაღლესი წოდება და მკვიდრნი ასის წლის განმავლობაში თვისის სამშობლოს სიკეთესა და ბედნიერებას რუსეთის თავად-აზნაურობასთანა და ერთან მჭიდრო ერთობაში ჰხედავდნენ მუდამ. „რუსეთის მხედრობასთან სამერთარს წმიდა სარწმუნოებისა, მეფისა და მამულისათვის“ კავკასიის გმირულ ბრძოლაში თვისნი გრძნობანი სისხლით აღბეჭდეს და განამტკიცე ასლანდუზისა, ბაშკადიკლარისა, ავლიარისა და ყარსის მეომართა წმი და საძმო საფლავებზედ. თქვენ იმპერატორებითს უმაღლესობას, როგორც კავკასიის უავგუსტოე ხელმწიფის მოადგილედ ნამყოფს, იმ თავითვე მეფის მოყვარე საქართველოსი და კავკასიის მკვიდრთ უქვეშევრდომილესნი გრძნობან რუსეთის თვითმპყრობელ მფლობელთა ტახტის მიმართ კარგად მოეხსენება. მოგეხსენებათ აგრეთვ რუსეთის ერთმორწმუნე ერის მიმართ ჩვენნი გრძნობანი. ამ საღმრთო გრძნობებმა მოგვივლინა თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობ დაუცხრომელ და დიდსულოვა მფარველად. მიიღეთ-ცა, დიდო წარ

არის, რომ ჩვენი სკოლების რეორგანიზაცია საჭიროა. ხოლო სკოლისაგან მოცემულს საფუძველზედ სწავლა-განათლების განგრძობის საქმე კერძო ინიციატივის, კერძო პირთა მოღვაწეობის საგნად უნდა გახდეს, მით უფრო, რომ ზოგიერთ მოძღვრებათა საქადაგებლად სკოლა შესაფერი ალაგი არ არის...

„მართალია, ეგ საქმე ჩვენში დღემდისაც დავიწყებული არ იყო; სხვა-და-სხვა ქალაქებში დროთა განმავლობაში დაუარსებიათ სწავლა-განათლების ფერაინები, რომლებიც მათი წევრებისათვის გონებრივის ამაღლების და ზნეობრივის ძალის წყაროდ გამომდგარან. მაგრამ ასეთი ფერაინები უფრო ქალაქებში არიან და მათ აკლიათ ერთმანეთის კავშირი და დამოკიდებულება. ამის გამო მათ ვერ მოუხერხებიათ ვერც ერთმანეთის გამოცდილება გამოიყენონ და ვერც ერთმანეთს დახმარებიან მოღვაწეობაში.

„გერმანელ ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განათლების ყველა მომხრეს და განსაკუთრებით აწინდელს სწავლა-განათლების ფერაინებს მივმართავთ, შემოგვიერთდენ ჩვენ და ერთი „სახალხო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“ დავაარსოთ“.

ამის შემდეგ მანიფესტში აღნიშნულია მთავარი მიზანი დასაარსებელ საზოგადოებისა. ამ მოწოდებაზედ 30 კაცს ჰქონდა ხელი მოწერილი, ამათში მრავალს რეიხსტაგის დეპუტატს და პოლიტიკურ მოღვაწეს.

მოწოდებამ დიდი თანაგრძნობა მოიპოვა საზოგადოებაში, ასე რომ „საზოგადოების“ დაარსება იმავე წელში მოხერხდა. 1875 წ. შეადგინეს საბოლოოთ წესდება, რომელიც დღემდე მოქმედობს.

„საზოგადოების“ მიზანი წესდების პირველს მუხლში ასეა გამოსახული: „სახალხო განათლების გამავრცელებელს საზოგადოებას, ბერლინში დაარსებულსა, მიზნად აქვს: ხალხს, რომელსაც პირველდაწყებით სკოლებში მხოლოდ განათლების საფუძველი ეძლევა, მუდამ მიაწოდოს სწავლა-განათლების მასალა და საშუალება და ამით შეაძლებინოს ხალხს თავისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობანი შეიგნოს და შეასრულოს“.

ამ მიზნის მისაღწევად „საზოგადოება“ შემდეგ საშუალებას ხმარობს: 1) აქვს მსჯელობა სახალხო განათლების შესახებ საკითხებზედ: 2) აარსებს სწავლა-განათლების ფერაინებს; ეხმარება ფერაინებს განსაგრძობ სკოლების დაარსებაში, წიგნების შოვნაში, სამკითხველოების გახსნაში, მასწავლებლების მოპოვებაში, საჯარო ლექციების გამართვაში და სხვა-და-სხვა; 3) სცდილობს საზოგადოებაში სასკოლო საკითხების ინტერესი გააღვიძოს; 4) სცდილობს სწავლა-განათლების ფერაინების ერთმანეთთან დაკავშირებას და დაახლოვებას; 5) ჰბეჭდავს საკუთარს ჟურნალს, რომელსაც საგნად აქვს სახალხო განათლებისა და ფერაინების საქმეების გამორკვევა; 6) ჰბეჭდავს და ავრცელებს ხალხში მანიფესტებს და ბროშურებს, რომ ამით ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებას ხელი შეუწყოს; 7) ნიშნავს მოგზაურს მასწავლებლებს და ჰგზავნის სხვა და-სხვა ადგილებში ხალხისთვის ლექციების საკითხავად.

„საზოგადოების“ იმ წევრთ, რომელნიც ერთს ადგილას სცხოვრებენ, შეუძლიანთ შეერთდნენ და ერთი შტო-ფერაინი Zweigverein) შეადგინონ. აგრეთვე მთელის მაზრის ან პროვინციის წევრებსაც ნება აქვთ „საზოგადოების“ სამაზრო და საპროვინციო განყოფილების შედგენისა. შტო-ფერაინებსა და საპროვინციო განყოფილებათაც წესდება სრულს ავტონომიას უთმობს. ისინი თვითონ იდგენენ წესდებას და ირჩევენ თავიანთ გამგეობას. მათს მიზანს შეადგენს სახალხო განათლებისთვის ზრუნვა თავიანთ მაზრებში.

თუმცა „საზოგადოება“ ფართო ავტონომიას უთმობს თავისს განყოფილებებს, მაგრამ ამასთანავე ავალებს (წესდების მე-17 მუხლში), რომ მათი წესდება „საზოგადოებისას“ არ ეწინააღმდეგებოდეს და მისს მიზანს ეთანხმებოდეს. ამიტომ შტო-ფერაინები და საპროვინციო განყოფილებანი ვალდებულნი არიან თავიანთი წესდება „საზოგადოების“ ცენტრალურს კომისიას წარუდგინონ განსახილველად. წესდების მოწონებისა და ფულის შეტანის შესახებ მორიგების შემდეგ ფერაინი ანუ საპროვინციო განყოფილება ჰხდება „საზოგადოების“ ნაწილად და იღებს განსაკუთრებულს მონაწილეობას მისს მართვა-გამგეობაში. სახელდობრ, საპროვინციო განყოფილების თავმჯდომარეს ეძლევა სხდომისა და ხმის უფლება ცენტრალურს კომისიაში. შტო-ფერაინის თავმჯდომარეს კი ასეთი უფლება მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა ფერაინი „განყოფილების“ ნაწილს არ შეადგენს და წევრთა რიცხვი ასზე ნაკლები არა აქვს.

ამას ცოტა განმარტება ეჭირვება, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს ფერაინებისა და განყოფილებების ურთი-ერთის დამოკიდებულება. შტო-ფერაინი არსდება სოფელში ან ქალაქში „საზოგადოების“ ადგილობრივ მცხოვრებ წევრთაგან. მაგრამ რადგან ერთი მაზრა ან პროვინცია მრავალს სოფელსა და ქალაქს შეიცავს, ამიტომ შეიძლება თითოეულს მაზრასა ან პროვინციაში რამდენიმე შტო-ფერაინი იყოს. როცა ერთის მაზრის ან პროვინციის ფერაინები შ ერთდებიან, მაშინ არსდება საპროვინციო განყოფილება „საზოგადოებისა“. ამ განყოფილების თავმჯდომარეს ეძლევა ხმის უფლება ცე ტრალურს კომისიაში, ხოლო შტო-ფერაინისას არა, რადგან ფერაინ შეადგენს განყოფილების ნაწილს. ამ სახით პირველს საფეხურს შტო-ფერაინი წარმოადგენს, მეორეს საპროვინციო განყოფილება, ხოლო მესამე უმაღლესს—თვით „საზოგადოება“. მაგრამ შეიძლება საპროვინციო განყოფილების დაარსებაში პროვინციის ყველა ფერაინებმ არ მიიღონ მონაწილეობა; შეიძლება ზოგი განზედ გადგეს და „განყოფილებას“ არ მიემხროს. ამ შემთხვევაში, როცა შტო-ფერაინ „განყოფილების“ ნაწილს არ შეადგენს, მისს თავმჯდომარეს ხმის უფლება ეძლევა ცენტრალურს კომისიაში, თუ ამასთან ფერაინს ასი წევრ მაინცა ჰყავს.

შტო-ფერაინები და საპროვინციო განყოფილებანი ვალდებულნი არიან წლის ბოლოს, მათის გამგეობის საშუალებით, ცენტრალურს კომისიას ანგარიში წარუდგინონ მათ მაზრაში სახალხო განათლების მდგ მარეობისა და მათის მოღვაწეობ შესახებ.

„საზოგადოების“ იმ წევრთ, რომელნიც შტო-ფერაინსა ან საპრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომადგენელო მამულის მამისა, პურ-მარილი ქართველ თავად-აზნაურთაგან და ნება მოგვეცით, ჩვენ მიერ თაყვანცემულო დიდო მთავარო, ამ ღრმა სიხარულის ნიშნად, რომ ამ დიდ მნიშვნელოვან დღეთა შინა თქვენ ჩვენ შორის ბრძანდებით, ძველებური, ჩვენებური „ვაშა" მოგახსენოთ".

თავ. დ. ზ. მელიქიშვილის სიტყვას ერთგული „ვაშა" და „ypa" მოჰყვა.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სიტყვის შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ამიერ-იმიერ საქართველოს თავად-აზნაურობას იმპერატორის სახელით შემდეგის უმოწყალესი სიტყვებით მიჰმართა:

„ხელმწიფე იმპერატორმა მიბრძანა გადმოგცეთ სალამი, მოკითხვა და მასთან მწუხარება, რომ თქვენს საიუბილეო დღესასწაულობას მისი უდიდებულესობა ვერ დაესწრო, თუმცა ფიქრობს-კი, რომ ამ ახლო ხანში ინახულებს კავკასიას. რაც შეეხება ჩემს საკუთარს გრძნობას, თქვენ იგი უკვე უწყით და ამიტომ მაჰხვდებით უთუოდ, რომ თქვენს საიუბილეო დღესასწაულზედ მისის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის მიერ წარმომადგენლად დანიშვნას ჩემსას ჩემდა ბედნიერებადა ვთვლი".

დიდის მთავრის სიტყვებს დამსწრენი ხანგრძლივის „ypa"-თი მიეგებნენ.

ამის შემდეგ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ გადაჰკოცნა გენერალ-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი და გენერალ-ლეიტენანტი ამირაჯიბი, დაათვალიერა საპატიო ყარაულნი და გამოელაპარაკა ზოგიერთ მათგანს. თავად-აზნაურთა წარდგენის შემდეგ, მათ უმაღლესობას მიართვეს თავად-აზნაურთა მხრივ ოთხ ვერცხლის ხონჩაზედ პურ-მარილი. აქავე მცირე წლოვან ნინა გიორგის ასულს მიართვეს წმ. ნინოს ვერცხლის ხატი. სამეფო დარბაზში ტფილისის გუბერნიის წინამძღოლმა წარუდგინა უავგუსტოეს სტუმრებს მანდილოსანნი, ამასთან ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეუღლემ ყვავილთა კონები მიართვა საფერძნეთის დედოფალს, დიდ მთავრინას და მთავრის ასულს.

სადგურიდგან უმაღლესი სტუმარნი, მანდილოსანნი, თავად-აზნაურნი და ამალა მიხეილისა და გოლოვინის პროსპექტით მთავარ-მართებლის სასახლეში წაბრძანდნენ. ქუჩებში ხალხი ბლომად იდგა და „ურა"-ს ძახილით ეგებებოდა სტუმრებს.

საღამოს 7$^1/_2$ საათზედ, როგორც გაზეთი „კავკაზი" გადმოგვცემს, მთავარ-მართებლის სასახლეში 48 კაცისთვის სადილი იქმნა გამართული. სადილზედ მიწვეულნი, თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლნი, სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი, სასახლეში 7 საათზედ შეიკრიბნენ. სადილზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა. დასრულდა სადილი 9 საათზედ, ხოლო მიწვეულნი საღამოს 10 საათზედ დაიშალნენ.

დაბა და სოფელი

—

ჯაპანა (გურია). ჯაპანის მცხოვრებლები როგორღაც ყოველ მხრივ დასჯილნი არიან. აქაურნი მკვიდრნი სოფელ ამაღლებიდგან (გურია) არიან გადმოსახლებულნი, რომელ საზოგადოებასაც ეკუთვნის ჯაპანა. სანამდის სოფელს მახლობლად მდინარე რიონი ჩამოუდიოდა, მცხოვრებლები კარგად სცხოვრობდნენ, არც არა ჯანმრთელობით უჭირდათ და არც ნივთიერად; მაგრამ მდინარე რიონმა ამ ოცდაოთხის წლის წინად ამ ადგილას გზა გამოიცვალა და სოფ. ჯაპანის მახლობლად დასტოვა დამდგარი წყალი (თითქმის სამი ვერსის მანძილზედ), რომელსაც არა მდინარე არ ერთვის, გასავლელი გზა სრულიად აღარა აქვს. სდგას ერთსა და იმავე დგილას ეს ღრმა დამპალი ნარიონალი წყალი და ავრცელებს საშინელს ციებ-ცხელებას, რომელიც წლიურად სულ ცოტა 20 ადამიანს გვაკლებს. იხოცება ამ დამდგარი წყლის მიზეზით ორჯერ მეტი, ვიდრე იბადება და, თუ თხუთხმეტი წლის წინედ სოფ. ჯაპანაში 600 სული მცხოვრები იყო, დღეს მხოლოდ 316 სულიღაა ორივე სქესისა. ამ რიგად, გამოანგარიშებით, თუ რაიმე საშუალება არ აღმოუჩნდა ამ დამდგარს წყალსა, ათის წლის შემდეგ თითქმის აღარც ერთი სული არ დარჩება ამათგან.

გარდასახლება ამ სოფლის მცხოვრებლებს სხვა ადგილზედ არ შეუძლიანთ, რადგანაც საშუალება არა აქვსთ და ზრუნვით-კი, სამწუხაროდ, არავინა ჰზრუნავს ამათთვის, შემწეობასა და დახმარებას ამ გაჭირვებაში არსაითგან მოველით. არ გამოჩნდა ჯერ-ჯერობით ისეთი მადლიანი და ღვთიური კაცი, რომ ჩვენის გაჭირვებისა და მწუხარების თანამგრძნობი გამხდარიყო, ხელმძღვანელობა გაეწია, ეშველა რამე.

გარდა ამისა ჯაპანლები, როგორც ამაღლებიდგან გადმოსახლებულნი, ისევ ამაღლების საზოგადოებას ვეკუთვნით; სოფელს ამაღლებაში გვახდევინებენ სასწავლებლის ხარჯსა და სოფლის სასამართლოს გარდასახადებს, მაგრამ ჩვენ, ჯაპანლები, ვერც სასწავლებლითა და ვერც სასამართლოთი სიშორის გამო ვერ ვსარგებლობთ. ჯაპანლებისთვის დღემდის, სასწავლებლისა და სასამართლოს გარდა, არც თუ სადმე საზოგადო გზა არსებობდა, მაგრამ, ვგონებთ, მალე გზა მაინც გვეღირსოს, რადგანაც დ. ჩოხატაურის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა ქელბაქიანმა უკვე განკარგულება მოახდინა, რომ ჯაპანის საზოგადო გზა შეკეთებული იქმნეს, რომელსაც თავისს დღეში შეკეთება არ ჰღირსებია. მაგრამ ვიდრე სოფელ ჯაპანაში სასწავლებელი არ დაარსდება, როგორც სხვა სოფლებშია, ჯაპანის სოფლის მცხოვრებთა როგორმე წინ წაწევა იმ დრომდის შეუძლებელია...

ლ. თ. ჯიბლაძე

უცხოეთი

—

ოსმალეთი. ინგლისის მთავრობამ წარსულს წელს ფარული ხელშეკრულება დასდო კოვეიტის შეიხთან, რომლის ძალითაც ინგლისს საბაჟო კონცესიები მიეცა და დაეთმო ადგილი გემების დასაყენებლად. ეხლა ოსმალეთი ამ პორტის, კოვეიტის დაპყრობას აპირებს, როგორც ჰფიქრობენ, იმ აზრით, რომ გადასცეს ის გერმანიას ერთის ხელშეკრულების თანახმად. ამ ჟამად ინგლისისა და ოსმალეთის შორის განწყობილება ძალიან გამწვავებულია, ინგლისი მზადაა სამხედრო ძალით შეაყენოს ოსმალეთის მისწრაფება და ამასთანვე ხელში მოიგდოს კოვეიტი. ამ ზღვის ნაპირა ქალაქის მახლობლად, სპარსეთის ყურეში ოსმალეთის აგენტები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ინგლისის საზღვაო გემების მოძრაობას.

— მე-7-ე დივიზიის კომანდირი, ალი-ფაშა ხიბატალიონი გაწვრთნილის ჯარით სასსუნის ოლქში წავიდა. მუშის ვიკარი თხოულობს გაძლიერებულის არეულობის გამო მიეცეს ნება მუშიდამ წასვლისა. ხმა დადის, რომ იქ სალდათებსა და სომხებს სასტიკი შეტაკება მოსვლიათ.

— „Temps"-ის კორესპონდენტის სიტყვით, ბეირუტში მაჰმადიანების და ქრისტიანების შეტაკება მომხდარა.

— მონასტირში (ევროპის ოსმალეთშია) ალბანელები ერთს საელჩოს დასხმიან თავს, მაგრამ რომელს, ჯერ არ იციან, რადგან ტელეგრაფი აღარ მუშაობს.

— ანატოლიაში დიდი მითქმა-მოთქმაა. ამტკიცებენ, რომ სულთანი უწყალო მდგომარეობაში ჩააყენა საფრანგეთის უსამართლო მოთხოვნამ რამდენიმე მილლიონის მიცემის შესახებო. იქ ხმა მაღლა ამბობენ, რომ ევროპიელები ყველა უნდა ამოვწყვიტოთო.

ავსტრო-უნგრეთი. ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტმა, სელლმა პირდაპირ განუცხადა გერმანიის მთავრობას, თუ ახალი კანონ-პროექტი ბაჟებისა დამტკიცდა, ავსტრო-უნგრეთი ვერავითარს სავაჭრო ხელშეკრულებას ვერ დასდებს გერმანიასთანო. ავსტრო-უნგრეთი იძულებული იქმნება შეუკრას გერმანიას სავაჭრო საქონლის ავსტრო-უნგრეთში შემოტანის გზები და ავსტრიის ვაჭრობისათვის შინაური ბაზრის მოპოვების შესახებ იზრუნოს. ამ გარემოებას, სელლის აზრით, ბალკანეთისათვის ორგვარი მნიშვნელობა ექმნება: ეკონომიურად ბალკანეთი ინგლისს და საფრანგეთს დაუახლოვდება და პოლიტიკურად რუსეთს.

ინგლისი. კაპშტადტიდამ მოსულის ცნობით, რომელიც ინგლისის

ვინციო განყოფილებას ადგენენ, თავიანთი საწევრო ფული ამ ფერაინ-განყოფილებაში შეაქვთ. შემდგარის ჯამისაგან ნაწილს თვით ფერაინი ანუ განყოფილება თავისთვის სტოვებს თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად; ხოლო დანარჩენი „საზოგადოების" ცენტრალურს კომისიას მიაქვს. ამ ფულის განაწილება მორიგებით ხდება: ცენტრალური კომისია უთმობს ფერაინებსა და განყოფილებებს იმდენ ფულს, რამდენიც მათ ადგილობრივის მოქმედებისათვის დასჭირდებათ, დანარჩენი-კი მიაქვს „საზოგადოების" სხვა-და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ყველას, — კაცსა და ქალსა, — შეუძლიან „საზოგადოების" წევრად გახდეს. ამისათვის წევრობის მსურველმა თავისი განზრახვა უნდა გამოუცხადოს წერილობით „საზოგადოების", შტო-ფერაინის ან საპროვინციო განყოფილების გამგეობას და თან საწევრო ფული გადაიხადოს. საწევრო ფულის რაოდენობა ნება-ყოფლობაზედ არის მიგდებული, მხოლოდ 6 მარკაზედ ნაკლები არ უნდა იყოს: მუდმივ წევრად გახდება, ვინც ერთად შეიტანს არა ნაკლებს 300 მარკისა. „საზოგადოების" წევრებად შეიძლება გახდნენ ის სწავლა-განათლების გამავრცელებელი ფერაინებიც, რომლებიც „საზოგადოებისაგან" სრულიად დამოუკიდებლად არსებობენ. ისინი იხდიან საწევრო ფულს ისე, როგორც კერძო პირნი.

წესდების ძალით, ცენტრალურს კომისიას უფლება აქვს ღარიბს წევრებს საწევრო ფული ნაკლები გამოართვას და ვინც მასწავლებლობით ან სხვა გვარის მოღვაწეობით „საზოგადოებისათვის" სასარგებლონი იქნებიან, თუ საჭიროა სულაც გაანთავისუფლოს საწევრო ფულისაგან.

წევრობისაგან გამორიცხვენ ხოლმე იმას, ვინც 1) გარდაიცვლება; 2) ორ გზის მოგონების შემდეგ საწევრო ფულს მაინც არ შეიტანს და 3) ვინც წევრობაზედ ხელის აღების სურვილს წერილობით განუცხადებს გამგეობას.

„საზოგადოებას" განაგებს ცენტრალური კომისია, რომელსაც სხდომები ბერლინში აქვს. კომისია შესდგება: 1) არა ნაკლებ 36 წევრისაგან, რომლებსაც საზოგადო კრებაზედ დაფარულის კენჭის ყრით ამოირჩევენ ხოლმე სამის წლის ვადით. ვადის შესრულების შემდეგ იმავე წევრების ამორჩევა შეიძლება, თუ ამას საზოგადო კრება მოისურვებს; 2) საპროვინციო განყოფილებათა და აგრეთვე იმ შტო-ფერაინების თავმჯდომარეთაგან, რომლებსაც, როგორადაც ეს ზევით აღვნიშნეთ, ცენტრალურს კომისიაში წარმომადგენლობის უფლება აქვთ; და 3) იმ წევრთაგან, რომლებსაც, გამოსულ ან გარდაცვალებულ წევრთა ნაცვლად, ცენტრალური კომისია აირჩევს ხოლმე. ეს წევრები მომავალ საზოგადო კრებამდე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ხოლო კრებაზედ ან მათ დაამტკიცებენ კომისიის წევრებად, ან არა და მათ მაგიერ სხვებს აირჩევენ, და, მაშასადამე, მათ გაანთავისუფლებენ.

ცენტრალური კომისია განაგებს „საზოგადოების" ყველა საქმეებს, გარდა იმისთანებისა, რომლებიც მხოლოდ საზოგადო კრებისა ან გამგეობის მიერ გადასაწყვეტია, და ახდენს ხარჯებს „საზოგადოების" საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

კომისიას აქვს ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი სხდომები. სხდომაზედ რომელისამე გარდაწყვეტილების დადგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შვიდი წევრი მაინც არის დამსწრე. ბერლინს გარეთ მცხოვრებ წევრებს იგივე უფლება აქვთ, რაც ბერლინში მცხოვრებთ. ყოველ არა ჩვეულებრივის სხდომის ერთი კვირის წინ წევრებს მოწოდება გაეგზავნებათ და ეცნობებათ აგრეთვე გასარჩევი საქმეები. ყველა წევრს შეუძლიან სხდომაზედ გასარჩევად წინადადებანი შეიტანოს ამა თუ იმ საგნის შესახებ. კომისია 1500 მარკაზედ მეტს ვერ დახარჯავს, თუ წინ და წინ ბერლინს გარეშე მცხოვრებ წევრებს არ დაეკითხა და თანხმობა არ მიიღო. იმ წევრებს, რომლებიც კომისიის დავალებით „საზოგადოების" საქმეებისთვის მოგზაურობენ, გასამრჯელო ეძლევათ.

ცენტრალური კომისია თავის წევრთა შორის ირჩევს გამგეობას, რომელიც, კომისიის ზედამხედაობით, განაგებს ფაქტიურად „საზოგადოების" საქმეებს. გამგეობა შესდგება ხუთის პირისაგან: „საზოგადოების" თავმჯდომარისა, მისის თანაშემწისა, ერთის მამასახლისისა (Syndikus), ხაზინადრისა და მდივნისაგან.

გამგეობა წარმომადგენელია „საზოგადოებისა" ყველა მის საგარეო ურთიერთობაში და იურიდიულ საქმეებში. იგი ადგენს, საჭიროების დროს, „საზოგადოების" სახელით ხელ-შეკრულობას და ხელს აწერს გამგეობის მიერ შედგენილს ყველა ხელ-შეკრულობას. მისმა სამმა წევრმა მაინც უნდა მოაწეროს ხელი და ამათში თავმჯდომარე ან მისი თანაშემწე უთუოდ უნდა ერიოს.

მდივანი ასრულებს „საზოგადოების" საქმეებს გამგეობის ბძანებით. განსაკუთრებით მდივნის მოვალეობას შეადგენს „საზოგადოების" ჟურნალის სარედაქციო საქმეები.

ხაზინადარი ადგენს წლის ბოლოს, ცენტრალურ კომისიის ინსტრუქციის თანახმად, შემოსავლის და ხარჯების ანგარიშს. ამ ანგარიშს შინჯავს წინადვე საზოგადო კრების მიერ ამორჩეული სარევიზიო კომისია, რომელიც 5—9 პირისაგან შესდგება, და შემდეგ, კომისიის შენიშვნებითურთ, ანგარიში მოეხსენება საზოგადო კრებას. ცენტრალური კომისიაც უდგენს კრებას წლიურს ანგარიშს, რომელშიაც აღნუსხულია მისი მოქმედება და „საზოგადოების" საქმეთა მდგომარეობა. ეს ანგარიში იბეჭდება და ყველა წევრებს ურიგდება.

მთავარი გამგე „საზოგადოებისა" არის საზოგადო კრება, ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი. კრებაზედ გამოცხადებულს წევრს, მიუხედავად მის საწევრო ფულის სიდიდისა, ერთი ხმა აქვს. წევრი კრებაზედ თუ არ გამოცხადდება, მაინც უნდა დაემორჩილოს იმ გარდაწყვეტილებას, რომელსაც დამსწრე წევრები დაადგენენ. გარდაწყვეტილებათა მიღება ჰხდება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით, ხოლო არჩევნები სწარმოებს შედარებითი უმრავლესობით. „საზოგადოების" მოსპობის დასადგენად-კი საჭიროა წევრთა ორი მესამედის უმრავლესობა. თუ ხმათა თანასწორობა აღმოჩნდა, საქმე წილის ყრით სწყდება.

კრების მოწვევა მხოლოდ ცენტრალურს კომისიას შეუძლიან. კრების ორი კვირის წინ უნდა გამოცხადდეს ადგილი და დრო კრებისა

ცენზურას ასცდენია, ლორდი მილნერი კაპშტადტიდამ ისტ-ლონდონში წასულა ზღვით, რომ იქიდამ ხმელეთით პრეტორიაში გადავიდეს. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ კაპშტადტის შუაგული ბურებს უჭირავთ და პირდაპირ იქიდამ პრეტორიაში წასვლა ინგლისელებისათვის შეუძლებელია.

„Daily News“-ი იმეორებს, რომ კიტჩენერსა და ბროდრიკს შუა დიდი უთანხმოებაა სამხრეთ-აფრიკაში ომის მართვის შესახებ და ამის გამო კიტჩენერმა სამსახურიდამ დათხოვნა ითხოვაო. თუ კიტჩენერი, ამის და მიუხედავად, ისევ თავის ადგილას დარჩება, ამას დიდი ცვლილება უნდა მოჰყვეს სამხრეთ-აფრიკაში ომის მართვა-გამგებლობაშიო.

შვეიცარია. ბაზელში 14 სექტემბერს გაიხსნა საკანონმდებლო წესით მუშათა დაცვის საერთაშორისო კონგრესსი. პირველს სხდომაზე 39 დელეგატი იყო. მთავრობათა ოფიციალური წარმომადგენელები იყვნენ საფრანგეთიდამ, ჰოლანდიიდამ, შვეიცარიიდამ და იტალიიდამ. შაბათის სხდომაზე მსჯელობა ჰქონდათ შრომის ბიუროს შესახებ.

ფილიპის კუნძულები. თუმცა ჩრდილოეთ-ამერიკის შერთებულმა შტატებმა დიდი ხანია გამოაცხადეს, რომ ფილიპინელები დავიმორჩილეთო, მაგრამ ეს სრული სიმართლე არ უნდა იყოს. 16 სექტემბერს ფილიპინელები დასცემიან თავს ამერიკელების რაზმს და საგრძნობელადაც დაუმარცხებიათ: 44 კაცი მოუკლავთ, 11 დაუჭრიათ, დანარჩენნი-კი, 28 გაქცეულის კაცის გარდა, ტყვედ წაუყვანიათ.

ისპანია. ისპანიას სამინისტროს კრიზისი მოელის. მიზეზი ისაა, რომ ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის გადიდების შესახებ უარს ამბობს.

საფრანგეთი. კონგრეგაციათა შესახებ ახალს კანონს მთავრობა ისე ჰმარტავს, რომ კონგრეგაციებს უფლება არა აქვთ უდეკრეტოთ სკოლების გახსნისა და უკვე გახსნილი სკოლებიც დახურულ უნდა იყვნენ, თუ მთავრობის ნება-რთვას არ აიღებენო. ამ ნაირად კონგრეგაციათა სკოლებს დიდი განსაცდელი მოელით. 1886 წლიდამ სახელმწიფო საბჭო თითქმის ყოველთვის უარს ეუბნებოდა კონგრეგაციებს სკოლების გახსნის თაობაზე და, ეჭვს გარეშეა, ეხლაც ასევე მოიქცევა.

სასამართლოს მატიანე.

პროცესი „კონტრაბანდისტების“ გამო.

საბრალმდებლო ოქმი.

(შემდეგი)

კირილე ნინიძე: თეატრში წესისა და მშვიდობიანობის დარღვევაში თავი დამნაშავედ მიმაჩნია. მე ვსტვენდი სხვა სტუდენტებთან ერთად, რომ თამაში დამეშალა; რაიცა შეეხება თავხედობას, რომლის მოსასპობლათაც პოლიციის ძალა და ჯოხის ხმარება საჭირო ყოფილიყოს, ამაში თავს ბრალდებულად არა ვსთვლი. ჯოხი მე არავისთვის არ მომიქნევია, ან როგორ მოვიქნევდი, რომ იგი თეატრში სრულიად არა მქონია. იგი წარმოდგენაზე წასვლისას შნეიდერის მაღაზიაში ნოქარს ერმილე ლორთქიფანიძეს მივაბარე, რაიცა შეუძლია დაამოწმონ პარმენ კობახიძემ და მარიამ პავლოვსკაიამ. ის ჯოხი, რომელიც საქმეებთან წარმოდგენილია, ჩემი არ არის და ვის ეკუთნის, არც ის ვიცი. მე არც არავის დაუჭერივარ. ნება მყოფლობით წავედი პოლიც. ნაწილში, რადგანაც მინდოდა ამხანაგების ხვედრი გამეზიარებია.

ალექსანდრე კანდელაკი: როცა წარმოდგენა დაიწყო, მე ვიდექი სტუდენტებთან მოშორებით, თუმცა მათთან ერთად პიესის გასაკიცხავად ვსტვენდი. მერმე, როცა სტუდენტებს თეატრიდგან გამოყვანა დაუწყეს, მეც გამოსავალ კარებისაკენ წამოვედი და როცა კიბეზე ვიდექი, ვიღაცამ უცბად კისერში ჩამარტყა, ამის გამო კიბეზედ დავგორდი და შესაძლებელია, რომ რამე ნაირად უცაბედად ხელი მომხვდა ძირს კიბესთან მდგომს, პოლიცმეისტრის თანაშემწეს ტატიაჩენკოს, თუმცა ეგ მე არ მახსოვს.

ილია აფხაიძე: მე და ჩემი ბატონი ოცხელი, რომელსაც მე „სტოროჟად“ ვემსახურები, ერთად წავედით ბაზარში საქმის გამო. როცა ქალაქის ბაღში შევედით, ჩვენ ყაზახები შემოგვეხვივნენ. ზოგიერთები გაიქცენ, მაგრამ მე არ ვიცოდი, რა ამბავი იყო და ბაღშივე დავრჩი. აქ პოლიციელმა მიქელაძემ დამიჭირა. ქვა არავისათვის არ მისროლია.

ჩვენებათა შესასწორებლად ბრალდებულთა მიერ დასახელებულ მოწმეების ნაჩვენებისაგან აღმოჩნდა შემდეგი: თუმცა ბრალდებულთა თ. ნ. ლორთქიფანიძის და კანდელაკის მოწმეებმა დაამოწმეს ცალ-ცალკე მათი ნაჩვენები, მაგრამ ამათი ჩვენება სრულიად არ უარ-ჰყოფს გამოძიებით ცნობილს სტუდენტთა მიერ ჩადენილ საქციელს. ამიტომ საქმისათვის მათს ჩვენებას მნიშვნელობა არა აქვს:

1) მართალია კობახიძემ დაამოწმა, რომ ვითომ ნინიძეს წარმოდგენის წინეთ მასთან ჯოხი დაეტოვებიოს და ეს ჯოხი კიდევაც წარმოადგინა, და პავლოვსკაიამ აჩვენა, რომ ნინიძე ბალკონზე უჯოხოდ იდგაო, იგივე დაამოწმა თეოფილე შალვაძემ და დავით ავალიანმა აჩვენა, რომ ჯოხი რომელიც საქმეში იყო წინეთ წარდგენილი, მისია და მასვე წაართვეს, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ ამცირებს ნინიძის წინაალმდეგ შეკრებილს გასამტყუვნებელს საბუთებს, იმიტომ რომ თეატრში ჯოხს იგი ყველა ამხანაგისგან ადვილად იშოვნიდა. 2) ავალიანის ჩვენება სარწმუნო არ არის, რადგანაც მისი სიტყვისაებრ, ჯოხი ვითომც დარაჯებს წაერთმიოს და საქმეებთან წარმოდგენილი ჯოხი-კი სალდათის აკოფოვის მიერ წართმეული და მისმიერვე კამანდირთან წარდგენილი აღმოჩნდა.

პოლიციელმა მიქელაძემ ვერ გაამართლა აფხაიძის ნაჩვენები და სთქვა, რომ არ ახსოვს, მან დაიჭირა აფხაიძე თუ არა ამიტომ იმის მოწმობა სარწმუნოდ არ მიიღება, მით უმეტეს, რომ იგი მოწმობა უარ-ჰყოფილია პოლეჟაევის და ბოქაულის შენგელიასაგან.

(დასასრული იქნება)

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

ბერლინი. 22 სექტემბერს, საღამოთი, გამოქვეყნებულ იქმნა ცნობა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის ახალ გადასახადისაგან თავისუფალ 4% ობლიგაციების გამოცემის შესახებ 32.460,000 მარკისა. ხელის-მოწერა 27 სექტემბერს.

ბუენოს-ჰაეროსი. 23 სექტემბერს დეკანოზმა იზრასტოვმა აკურთხა მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. კურთხევას დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი როკა, მინისტრები, სადიპლომატო კორპუსი.

კონსტანტინეპოლი. საფრანგეთის რწმუნებულმა გადასცა ნოტა, რომელშიაც საფრანგეთი არ იწყნარებს პორტას წინადადებას იმ ვალის 145,000 გირვანქით შემცირების შესახებ, რომელსაც ლორანდო თხოულობს. საფრანგეთი 345,000 გირვანქასა თხოულობს.

და აგრეთვე განსახილველი საგნები. განსახილველ საგნებს ცენტრალური კომისია ნიშნავს. თუ ხუთმა წევრმა მაინც მოისურვა რაიმე საგნის კრებაზედ განსახილველად წარდგენა და ის კრება ერთის კვირის წინ კომისიას წერილით გამოუცხადა, მათი სურვილი დაკმაყოფილებული იქნება და მათს წინადადებას კრებაზედ გაარჩევენ. კრების გასარჩევ საგნებში შემდეგი სამი საგანი უეჭველად უნდა იყოს შეტანილი: ა) ანგარიში „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ გასულს წელში, ბ) ხარჯთ აღრიცხვა და გ) ცენტრალურ კომისიის წევრების შევსება ან (მესამე წელში) ახალ არჩევნების მოხდენა.

არის ისეთი საგნები, რომლების გარდაწყვეტა მხოლოდ საზოგადო კრებას ეკუთნის. მარტო საზოგადო კრებას შეუძლიან ცენტრალურ კომისიის 36 წევრის არჩევა, „საზოგადოების“ მოსპობა ან მისი წესდების გამოცვლა, ცენტრალურ კომისიაზე წევრებისა და მოსამსახურეების საჩივრების გარჩევა და საქმეების ცუდად წარმოებისა გამო ცენტრალურ კომისიისთვის საყვედურის გამოცხადება.

ყოველი ჩვეულებრივი საზოგადო კრება 1 სექტემბერზედ გვიან არ უნდა მოხდეს. არა ჩვეულებრივი კრება მოხდება ყოველთვის, როცა ამას 300 წევრი მაინც თხოულობს. ეს მოთხოვნა, განსახილველ საგანთა აღნუსხვით, წერილობით უნდა წარედგინოს ცენტრალურს კომისიას. არა ჩვეულებრივის კრების მოწვევის გარდაწყვეტა ჩვეულებრივს კრებასაც შეუძლიან.

„საზოგადოების“ ქონებას გამგეობა განაგებს. ამისათვის მას ინსტრუქციას საზოგადო კრება აძლევს და ზედამხედველობას ცენტრალური კომისია კისრულობს. წესდების ძალით, შესანახი კაპიტალით მხოლოდ სანდო და უცვლელ სარგებლის მომცემი ფასიანი ქაღალდები უნდა იქნეს შეძენილი. „საზოგადოება“ თუ მოისპო, მისი ქონება, საზოგადო კრების გარდაწყვეტით, ერთ-ერთს გერმანიაში მყოფს სახალხო სწავლა-განათლების გამავრცელებელს ფერაინს დარჩება.

ეს არის „საზოგადოების“ წესდების შინაარსი. ამ წესდებაში არც ერთი მთავარი აზრი არ დარჩა, რომ აქ არ მოგვეხსენებინოს.

მაგრამ ეს მაინც არა კმარა „საზოგადოების“ სავსებით გასაცნობად. საჭიროა მისი მოქმედების მოთხრობა და მოღვაწეობის ნაყოფის აღნუსხვაც.

ფ. გ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მი-მოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.)

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ. ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის [illegible] ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

სააგარაკო მატარებლები:

სააგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

სააგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებს, ამასთან მყიდველებს თმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში, რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობრძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 52 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756.

(25—16[illegible]—12)

სააფთეაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დ ე პ ო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საქმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც გაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ტელეფონი № 174.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т— во Фармацевтовъ —провизору Алхазову.

(100—43—93)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.